სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 **თებერვალი, 2026 წელი**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/23

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამთა ფოფხაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, **თამთა ფოფხაძის** დოქტორანტურაში გარე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის №01-08/742 ბრძანების, „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №06-01/24 დადგენილების, „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/13 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №22-20/2, 31.01.2026) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 26 0000103611, 03/02/2026) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამთა ფოფხაძის** სადისერტაციო ნაშრომის „ანალიტიკური ტერმინების ქმნადობის კრიტიკული ანალიზი საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების მიხედვით (მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის მასალაზე)“– **საჯარო დაცვა** დაინიშნოს **2026 წლის 16 თებერვალს,** 12:00 საათზე, №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, კორპუსი №1, მე-2 სართული).
2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ფილოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ბსუ-ს პროფესორი მაია კიკვაძე **(კომისიის თავმჯდომარე);**
   2.2. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე **(კომისიის მდივანი);**
   2.3. ბსუ-ს პროფესორი მარინე გიორგაძე;
   2.4. ბსუ-ს ემერიტუსი ირინე გოშხეთელიანი;
   2.5. ბსუ-ს პროფესორი ნატალია სურგულაძე;
   2.6. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი თეონა ბერიძე;
   2.7. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნანა მაზმიშვილი;
   2.8. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ივდით დიასამიძე;
   2.9. ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე;

2.10. აწსუ-ს პროფესორი ნინო ნიჟარაძე, ფილოლოგიის დოქტორი;
2.11. აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი ქეთევან დოღონაძე, ფილოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება, საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორ მ. ფაღავას) და საბჭოს მდივანს (პროფესორ მ. კიკვაძეს), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. № 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**